საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კვარაცხელია ზვიად თენგიზის ძე

კვარაცხელია ზვიად თენგიზის ძე (დ. 22. IV. 1980, ზუგდიდი), მწერალი. 2005–08 სწავლობდა ზუგდიდის შ. მესხიას სახ. სახელმწ. უნ-ტის იურიდიულ ფაკ-ტზე. 2007–08 იყო საზ. ჟურნ. „პრემიერის" არტრედაქტორი; 2010–11 – ჟურნ. „ქართული მწერლობის" რედაქტორის მოადგილე; 2010- იდან – გამომცემლობების: "ინტელექტისა" და "არტანუჯის" პროექტების კოორდინატორი და მთ. რედაქტორი. 2013-იდან არის ინტერნეტგაზეთ-ის „Mastsavlebeli. ge" ბლოგერი.

კ. ავტორია ნოველების, მინიატიურებისა და მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებების, რ-ებსაც აქვეყნებს *ლიტ.* პერიოდიკაში („მნათობი", „ცისკარი", „ჩვენი მწერლობა", „ლიტერატურული პალიტრა" და სხვ.); ასევე ავტორია წიგნებისა: „მარჯვენა" (2005), „ქა-რაგმა" (2006), „ჰაე" (2008), „ილია სამეგრელოში" (2009), „ყიფლიბანდი" (2011), „ფორმა N100" (2013). ავტორი და ხელმძღვანელია სხვადასხვა საგამომცემლო პროექტებისა.

2014 მიენიჭა *ლიტ.* პრემია „საბა" რომანისათვის „ფორმა N100".